

ივერია

გაზეთის დასავევად დაეწყო განცხადებით დასაბჭდათ უნდა მივმართოთ: ღვიონ რედაქციას, ვუიპში, ავჭალის ქუჩაზედ, ვარაქცი ძეგლის პირდაპირ, თავ. გრუზინისთვის სას. ლ. ში: წერა-კითხვის განმარტებელი ნაწილი დოების კანცელიარის, სთავად-ზნაურთა განსახლებში, სახარის ქუჩაზედ. ფასი განცხადებოდა: ჩუქულეოროგი + სტოქონი რვა კაპეიკი.

1877—1893

საზოგადოებრივი და სალიტერატურული გაზეთი

1877—1893

ეკატერინე ნოდარის ასული ნაცვლიშვილისა, ნიკოლოზ გაბრიელის ძე ნაცვლიშვილი და ოლგა გაბრიელის ასული გომელაშვილისა სთხოვენ განსვენებულის ნადვორნი სოვეტნიკის მიხედვით გაბრიელის ძის ნაცვლიშვილის ნათესავთა და ნაცვლიშვილთა მობრძანდნენ წლის წირვასა და პანაშვიდზედ, რომელიც გარდახდის იქმნება შაბათს, 31 ივლისს, დღის 10 საათზედ, კუკიის სასაფლაოს წმ. ნინოს ეკლესიაში. (1—1)

ტფილისი, 29 ივლისი
მკითხველი, უეჭველია, მიაქცევდეს ურადდებას ბ-ნ ზ. ჭ—ძის მაჭანდიდგან მოწერილ წერილებს, სავსეს უდიდესის ინტერესით. საქართველოს ნაწილი, დასახლებული ჩვენ მოძქეთა მიერ, თითქმის გაპარტახტებულია, გავრანებულია და ავაზაკთა ბუდე გადქცეულია. იქ, საცა ამ თხუთმეტის წლის წინად ოპ-და-ათი-ათასი მკვიდრი ბინადრობდა, დღეს მეთაფი ადარ დარჩენილად, ვისაც წასვლა ვერ მოუწვრია, ისიც თურმე აპირებს გამოდგეს სამშობლოს, მამა-პაპათა სისხლით გაპოხიერებულს. სამშობლო გაუბადურებულია მათთვის, თვალი და გული ოსმალებისგან მიუპურიათ, იქ ჰვანებენ იპოვონ ედემი, თუმცა გადახვეწილთ შიმშილ-წყურვილის მეტი არა უნახავთ-რა ოსმალებში.

სდუდლაო, დღეს-გი ყველსფერი დაკუმულებს და ამოვარდნილს. ამოდენა მხრის მშვენიერ სოფლის სახელ-კარ-მიდამონი სულ გავრანებულია. მარჯვენა და მარცხენა მადალი ნაძვის ტუეები სავსეა ოროლო-სართულიანის სახლებით, რომელნიც საბრადოდ გახრებულია და აქა-იქ მინგრეულ-მიქცეული. მაყურებლის გულს ცეცხლი ეკიდება, როცა ხედავს ასე უწყალოდ ქართველთა სოფლების გაპარტახტებას. მშვენიერი ხეობის მზერით-გი თურმე კაცის თვალი ვერ გაძდება!..
აი, სწორედ ამ უდაბურ და ჩვენ-გნით მივიწყებულ მხარეს მოგზაურობს, ავერ ეს მეორე ზაფხულია, ბნი ზ. ჭ—ძე, — მოგზაურობს მართლ, ერთ ხელში ჯოხი უჭირავს და იდღისში ქართული წიგნები, ანბანი, დედა-ენა, ლოცვები და სხვ. არ ერიდება არავითარ დაბრკოლებას, ვით სახელოვანი პეტრე უდაბნოელი; საცა-გი მივა, ყველგან ხაღის ესაუბრება, უკითხავს წიგნებს, ასწავლის ანაბანას, ასაჩუქრებს ურმათა წიგნაკებით და ჰპირდება, შემდეგაც გამოგიგზავნითა. დადგრემილი, ჩვენზედ გულ-აყრუებული ხაღის ღმობიერებაში მოდის ამ სურათით და აქეთ-იქთ ეპატივება, ჩვენც გაგვაბედნიერე, გვანახე და წიგნი

სწორედ ნამდვილი მოქალაქობრივი დვაწლი იქნება სამშობლოს წინაშე, თუ ვინმე ამ გულ აყრუებულთ პირს ხელახლა ჩვენსკენ აქვევინებს, დვაწლი საშვილისმგვილო, რომელსაც, დღეს თუ არა, ხვალე, მერმის, მომავალი თაობა მაინც დირსეულად დაათვათებს. წინად მაჭანდილში, მოგვითხრდბს ბ-ნი ზ. ჭ—ძე, სიცოცხლი

ზოგიერთი მაწანწალა ტომი, ვინ იცის, რა დობე-ყოჩრეს არ ედება, რომ დაჩინოს, დასაგუთროს და თავისად ადიაროს ისეთი ადგილები, საცა ამ ცოტა ხნის წინად, კრინტიც რომ ამოეფო, დავთრებს დაუფანტავდნენ, და ჩვენ ნუ-თუ ჩვენსასაც ვერ მოვუვლით, ვერ ვუპატრონებთ ვერ შევითვი-

ფელეტონი
ხვან-თხვის საჩხი ივლისიში
(წერილი მეორე)
— ხემოდა ვსთქვით, განავრძო ჩემმა ინგლისელმა აგრონომმა, რომ პირველი საქმე ახლის წესით მამულის შემუშავებისა, შუშაბანდ-გადახურულ პატარ-პატარა ნაჭრებისა, არის ნიადაგის მოშადება. თვითონ მხენელ-მთესველმა უნდა გააჩინოს ისეთი ნიადაგი, რომელიც მისთვის საჭიროა. ცხადია, რომ შუშაბანდის გადახურვა და ნიადაგის მოშადება და გაჩენა სავალდებულოა მხოლოდ ისეთს ქვეყნებში, საცა ძლიერ ცივა და საცა მწირო, ულონო მამულია. ისეთს ქვეყნებში-კი, საცა ჰავაც კარგია, მამულიც ღონიერია და მომცემი, როგორც, მაგალითად, რიონის მიდამო თქვენს კურთხულს სამშობლოში, სრულიად საკმარისია, მხენელ-მთესველმა და მებადემ ყურადღება მიაქციოს თესლის განკარგებასა და გადასარგველ ნერგის კარგ

მოვლასა. ამ ორს გარემოებას დიდი მნიშვნელობა აქვს და ძალიანაც მატულობს მოსავალი, თუ თესლიც კარგი შევირჩევით და ნერგისთვისაც კარგად მოვივლით.
— ყოველ მაგისათვის, უეჭველია, განსაკუთრებული განათლება იქმნება საჭირო. საჭირო იქმნება აგრედვე დიდის ფულის დახარჯვაცა.
— სრულიადაც არა. ყოველს, ცოტად, თუ ბევრად, ჩახვედრილსა და შრომის მოყვარე კაცს, შეუძლიან იტვირთოს ასეთი საქმე. აი ოსმალონი, თქვენი მეზობლები. იმათაც-კი მოახერხეს და ახლის წესის მეოხებით უმაღლეს ხარისხამდე აიყვანეს თუთუნის მოყვანის საქმე. მაგრამ, აბა, რა საიმისო განათლება აქვთ ბაფრისა, სამსუნისა და ებიჯიეს თუთუნის მოყვანთ? ჩვენმა მებადებმა ასე იციან. გააფხვიერებენ მიწას, მოამზადებენ კარგად ნიადაგს რამდენიმე საყენის სიგრძეზე და დასთესენ საუკეთესო თესლს. გამოჩნდება და ამოჰყოფს თუ არა ნათესი თავს, დიდის ბეჯითობით უვლიან, რწყვენ, ჰმარგლიან... ერთის სიტყვით, ისე

გვასწავლეო.
მაჭანდილთა ურმანი ადტაცებაში მოდიან ქართულ წიგნებში სურათების ხილვით და წერილების ავტორს კალთაზე ეკონწილებიან, ბიძიავ, წიგნები გვაჩვენე და წაკითხვა გვასწავლეო. ქართული ენა მშვენივრად შენახულია დადა-კაცობაში, თუმცა მამა-კაცობას მკირედად დაუვიწყრია დვიძლი ენა და მეურეყვია მისი სიწმინდე ოსმალოურის სიტყვებით. მაგრამ ამ უკანასკნელმა გარემოებამ არ უნდა დააბრკოლოს ქართველი საზოგადოება, ხელი არ უნდა შეუშალოს და უნდა ეცადოს როგორმე მოაწყოს საქმე, რომ იმ ჩვენგან მოწყვეტილ კუთხეებში, როგორც არის მაჭანდილი და აჭარა, გავრცელდეს ქართული წერა-კითხვა ჯერ-ჯერობით და, თუ ღმერთი ხელს მოგვიმართავს და შეგვაძლებინებს, უფრო მომეტებული განათლებაც მოვფინოთ. მართლაც კერძო კაცის მეცადინეობა, რაც უნდა მხნე იყოს, საკმარისი არ არის იმისთანა დიდ საქმეში, როგორც არის აჭარა-ქობულეთ-მაჭანდილის განათლება. საჭიროა შეერთებული ძალი, მხნეობა მთელის ერისა, დაუსრულებელი მუშაობა და მხურვალე სიყვარული, ურამდლისადაც არ დაგვირგვინდება არც ერთი საქმე.

ზოგიერთი მაწანწალა ტომი, ვინ იცის, რა დობე-ყოჩრეს არ ედება, რომ დაჩინოს, დასაგუთროს და თავისად ადიაროს ისეთი ადგილები, საცა ამ ცოტა ხნის წინად, კრინტიც რომ ამოეფო, დავთრებს დაუფანტავდნენ, და ჩვენ ნუ-თუ ჩვენსასაც ვერ მოვუვლით, ვერ ვუპატრონებთ ვერ შევითვი-

უვლიან, როგორც მებადე უვლის ყვავილებს. როცა ნორჩი მცენარე ფესვს გაიმადრებს იმდენად, რომ მერე თავისთავად შეუძლიან ზრდა თითქმის მოუვლელად, აიღებენ და გადარგვენ კვლებში, სწორედ ისე, როგორც თუთუნსა და კომბოსტოს. პირველ კვირას ახლად გადარგულ მცენარეს ყოველ დღე ეკირვება რწყვა, მერე-კი ნოტი ჰავაში საჭირო არ არის. აი ამისთანა მოვლითა და ზრუნვით წარმატებაში, შედის ჯიში თესლისა და, თუ ერთი სამად არა, ერთი ორად მაინც მატულობს მოსავალი.
პურის მზგავს მცენარეთა თესლის განკარგება სხვაფერია ხერხდება. კარგ საბოსტნე ადგილის ბაღში სთესენ რჩეულს, საუკეთესო მარცვლებს. მერე ნათესს ყურს უგდებენ, უვლიან ისევე, როგორც ყვავილებს. ასეთის მოვლის გამო ნათესი თამამად იზრდება, თავთავი ივსება, მარცვლი სრულდება. როცა ასეთს მარცვალს სთესავენ, მერე ჩვეულებრივს ნახნავში მოსავალი ერთი ორად და სამად მეტი მოდის. ბევრმა განაკარგა ასე

სებთ, რაც უდავოდ ჩვენზე სისხლი და ხორცია?..
ა. ფონელი

ახალი ამბავი

კავკასიის მთავარ-მართებელმა გენერალ-ადიულანტმა ს. ა. შერემეტიევმა 22 ივლისს მიულოცა მის უმაღლესობას, ხელმწიფე იმპერატორის სახელ-წოდების დღე და მიიღო შემდეგი დეპეშა:
გულ-წრფელად გამდლობთ, მოლოცვისა და კეთილ სურვილისათვის, თქვენ, ჯარსა, მოხელეთა და მთლად ძვირფასს კავკასიასა, საითკენაც ხშირად გამოიტაცებს ხოლომე ხსოვნა.

მარიაშ
* * * შინაგან საქმეთა მინისტრმა დაამტკიცა ახალი საფთოაქო კანონი, რომლის ძალითაც აფთოაქის დაარსება შეუძლიან მხოლოდ იმათ, ვისაც პროვიზორობის უფლება მიუღია.
* * * ტფილისიდან წელს სამხედრო სამსახურში წაიყვანენ 32 კაცს. კენჭის ამოდება უნდა დაიწყონ 15 ოქტომბერს.
* * * წელს სამხედრო სამკურნალო აკადემიაში შესასვლელად 278 ახალგაზდას მიუციათ თხოვნა. მათ შორის 60 ახალგაზდას ოქროს და ვერცხლის მედალები აქვთ მიღებული საშუალო სასწავლებელში კურსის გათავების დროს. სამკურნალო აკადემიაში მიუღიათ მხოლოდ 145 კაცი.
* * * რკინის გზის დეპარტამენტმა

ჯიში თესლისა რამდენისამე წლის განმავლობაში და იქამდე მივიდა, რომ თუ წინად ერთი კოდი თესლი 12—15 კოდს მოსავალს იძლეოდა, შემდეგ და შემდეგ, ერთის კოდამა აილო 30—45 კოდი.
— ბოღიშ ვიხილო, განავრძო ინგლისელმა, რომ ასეთს წვრილმანებს გამოვეკიდე. ჩვენი საუბარი შეეხებოდა უფრო ჩვენის მეურნეობის საზოგადო მდგომარეობას. მეც ისევე ამ საგანს დაუბრუნდები. მე მინდოდა მხოლოდ, არ გეფიქრნათ, ვითომ ხენა-თესვის განკარგებისათვის რაღაც უცხო და უცნაური რამ იყოს საჭირო. ან დიდის ფულის ხარჯვა იყოს აუცილებელი. შრომა, ყურადღება და პირველ-დასაწყისი განათლება, ხელ-მისაწვდომი იმისთანა მუშაკათათვის, რომელნიც საღამოს კურსებზე დადიან; ამასთანავე კიდევ ადვილად საკითხავი ეურნალები ხენა-თესვისა და მებადეობა-მებოსტნობისა, — აი ყოველივე ის, რის მეტიც დღეს ჩვენ ხელთ არა გვაქვს-რა. ჩვენს მებოსტნე-მებადეებსაც მეტზედ არაფერზედ მიუწვდებათ ხე-


კვლავ მოახდინა განკარგულება, რომ ყოველს სადგურზედ აღუღებული წყალი იყოს მზავრთათვის სასმელად და, ამასთან, ბუფეტადგანაც ძლიოთ ცხელი წყალი.

* * * ჩვენ გვატყობინებენ, რომ ჩვენს გამოჩენილს პედაგოგს ბ-ნ იაკობ სვიმონის ძეს გოგებაშვილს განუზრახავს გამოსცეს ცალკე წიგნად ყოველი თავისი ნაწერი საისტორიო, საუბლიცისტო, საპედაგოგო და სხვანი. ნაღდი შემოსავლი ამ გამოცემისა დანიშნულია ავტორის-მიერ სასარგებლოდ ჩვენის უკუდავის პოეტის რუსთაველის ფონდისათვის.

* * * გუშინ, ამ, თთვის 29, საგუბერნიო მმართველობაში ტფილისის ვიცე-გუბერნატორს დ. ს. ს. გრაფ ტიზენგაუზენს, გუბერნიის ექიმს ბ-ნ ქიქოძეს და ქალაქის მოურავის მოადგილეს ბ-ნს იზმაილოვს საუბარი ჰქონდათ იმის შესახებ, თუ რა ღონისძიება ვინმაროთ, რომ ტფილისში ხოლომე არ გავრცელდეს. ამასთანავე ტფილისის საგუბერნიო მმართველობის სამკურნალო განყოფილებამ მისწერა ოფიციალურად ტფილისის ქალაქის მოურავს, რომ საჩქაროდ სასანიტარო ექიმების და სასანიტარო დასეების თავმჯდომარეთა კრება დანიშნეთა ამ საგანზე მოსალაპარაკებლად და ღონის საძიებლად, რომ ხოლომე არ გავრცელდეს ჩვენს ქალაქში, რისთვისაც ცხლავე სასანიტარო დასეები უნდა შეუდგენენ ქალაქის დათვალიერებასაო.

* * * ტფილისის გუბერნატორი თავ. გ. დ—ძე შერვაშიძე, რომელიც ამ ეამად სოფ. ბელონში

ლი. იმათ სამუშაო კიდევაც მეტი აქვთ: უნდა თვითონვე გააჩინონ საჭირო ნიადაგი მიწისა და ეტბრძოლონ სასტიკს ჰავას. ამას გარდა, ყოველივე საქმე უნდა აწარმოვონ სხვის მამულზე და მოეწყვენ იმ მამულზე, რომელსაც იჯარით იღებენ რამდენისამე წლებითა.
— კარგი და, ვსთქვით, მამულის პატრონმა აღარ მოინდომა იჯარით გაცემა თავის მამულისა მეორე ვადით. ხომ დაილუბა მერე იჯარაღარი?
— რასაკირველია, იჯარის გაუქმება დიდად საზარალოა. მაგრამ ეხლა ხელშეკრულობაში ერთ პირობად იმასაცა სწერენ წინდაწინვე, რომ იჯარაღარს, თუ იჯარა გაუქმდა, ნება აქვს თავისი მოწყობილობა და, ასე გასინჯეთ, თვით ნიადაგიც-კი თვითონვე წაილოსო.
— როგორ თუ ნიადაგიც წაილოსო?
— როგორ და ისე. ჩვენი მებადე-მებოსტნენი, როგორც საფრანგეთისანიც, თითონვე აჩენენ, თითონვე ჰზადავენ ნიადაგს. საფ-



მეტი. მთელ საფრანგეთში 8% უკანონო შვილი არის, მაშასადამე, პარაფი 24% ყოფილა.

პარიჟში 20% მეტი იხრება, ვიდრე მთელ სახელმწიფოში. ამასთანავე საშვალა წელი სიკვდილის საფრანგეთში 40 ია; პარიჟში-კი—28. ამის მიზეზად ბნმა ლანომ დასახელა ის გარემოება, რომ პარიჟელები თითქმის მთელ სიკვდილს უმოძრაოდ ატარებენ კაბინეტშიაო. ამ გვარი ნიბი ცხოვრებისა სწამლავს კაცის სხეულს და მალე უკბზს სიკვცხლესაო. ბევრს ესპობა აგრედვე სიკვცხლე სხვა-და-სხვა მაგ რ სასმელების ხმა-რებით. ასეთ სასმელების ღუქნებით მთელი პარიჟი საცხეა. იქ 29,593 სამიკიტნო ირიცება და ყოველ 82 კაცზედ ერთი სამიკიტნო მოდის. პარიჟში აგრედვე ხშირია სიკვდილი ჭლეკით. ამას თვით სტატისტიკური ცნობანი ცხადად ამტკიცებენ. მაშინ, როდესაც ლონდონში 100,000 კაცზედ 202 ჭლეკით ავადყოფი ითვლება, პარიჟში იმავე რიცხვზედ 450 ავადყოფი მოდის.

ეს გარემოება—სთქვა ლაონმა—აიხსნება, სხვათა შორის, იმიტიც, რომ ინგლისელები დიდს ყურადღებას აქცევენ ფიზიკურ ვარჯიშობას, რასაც პარიჟელები მოკლებულნი არიანო. აგრედვე პარიჟში ჭლეკიანობასა და სხვა სენს ხელს უწყობს მოსახლეობის შეჯგუფება, რის გამოც პაერი შეგუბებულია და გაფუქებულია. ლონდონში თითო ქეტარზედ (2197 ოთხ-კუთხი საყენი) 128 კაცი სცხოვრობს, პარიჟში-კი 310.

დებემა

28 ივლისი

ლონდონი. სიმლადგან დებეშით იუწყებინ, რომ ინლოეთის გარეშე საქმეთა დებარტამენტის მდივანი მორტიმეტრ-დიურანი აგვისტოს გასულს მკირე ამალით გაემგზავრება პეშაუ-რიდგან ქაბულს, ავღანის ემირთან მოსალაპარაკებლად შესახებ ზოგიერთ საზღვრებისა. დიურანს გაჰყევიბიან პოლოკენიკი ელისისი, კაბიტანი მაქმაგონი, ლეიტენანტი მანნერს სმიტი და მოხელენი: დონალდი და გარეშე საქმეთა დებარტამენტის მოხელე კლარკი. ემირი თანაუგრძობს ამ მისიის მოსვლას. დიურანი ავღანისტანში ორ თთვეს დარჩება.

29 ივლისი

ნიჟინ-ნოვგოროდნი. გუშინ გაიხსნა იარმუკის ბირჯა.

ვაშინგტონი. თავის აღრესში პრეზიდენტს დაწვრილებით მოჰყავს სამწუხარო შედეგი შერმანის აქტისა, ვერცხლის ფასის დაცემისა და ხაზინაში ოქროს გამოღვევის გამო. რათა ასცილდეს ყველა ტომის ხალხს საფინანსო და საკომერციო განსაცდელი ფულის გაიფებით, პრეზიდენტი სთხოვს კონგრესს გადასდოს შერმანის აქტი და ილონოს რამე ფულის განაღდების საქმემ ნაირად, როგორც საუკეთესოდ ცნობილია ყოველ განათლებულ ერთამიერ.

პარიჟი. საფრანგეთსა და სიამს შორის წინანდელი ოფიციალური დამოკიდებულება დამყარდა.

ლონდონი. გლადსტონმა გამოაცხადა საზოგადოებათა პალატაში, რომ მთავრობა, როგორც უკვე ნათქვამი იყო, არ გადასდებს პალატის კრებას, ვიდრე ირლანდიის ბილილი და ხარჯთ-აღრიცხვა არ იქმნება დამტკიცებული. მთავრობა ამ განზრახვით იმას უფრო არჩევს, რომ შემოდგომის სესისი ეხლავე დაიწყოს.

305ა. Neue Freie Presse იუწყება, კონფერენცია იმ აზრს დაადგა, რომ სთხოვოს რუსეთის მთავრობას გამოაცხადოს, რა პირობებით შეიძლება რუსეთი ავსტრიასთან კეთილ-განწყობილ სახელმწიფოდ იქმნას აღიარებული. ესევე აზრი გატარებული იქმნება ავსტრიის გარეშე საქმეთა სამინისტროს ნოტაში.

ვეტერბურგის ბირჯა, 16 ივლისი.

მნიშვნელობა	მნიშვნელობა	მნიშვნელობა
მან. კ.	მან. კ.	მან. კ.
რეზ-მანათიანი ოქროს ტამონის გუმონები	7,100	—
მანუიანი ვერცხლის ფული	152 3/4	153 3/4
5% პირველის შინაგანის სესხის მომგები	—	—
ბილილი	241 1/4	—
მეორისა	225 1/4	—
4% მესამე სესხისა	—	—
სახელმწიფო თავდაზნაურობის ბანკის მომგები	—	—
გებ. ფურცელი	194 1/4	—
გორავნობის ფურცელი	—	—
ტფილისის ბანკისა:	—	—
5%	—	—
5%	—	—
ქუთაისის ბანკისა 6%	—	—
5%	—	—
5% ობლიგაც. ტფილისის ქალაქის საკრედიტო საზოგადოებისა	—	—

გამოსაღები ცნობანი რაინის გზის ნიშნავლა

ტფილისიდან ბათუმს მიდის საფოსტო მატარებელი 9 ს. 30 წ. დილ. ბათუმიდან ტფილისს მოდის. 9 52 წ. საღ. 12 ს. 25 წ. შუად ტფილისიდან ბაქოს მიდის 1 ს. 20 წ. შუად. ბაქოდგან ტფილისს მოდის „ 5 ს. 50 წ. საღ.

ტფილისსა და განჯას შუა.
ტფილისიდან განჯას მიდის . . . 9 ს. 20 წ. საღ.
განჯიდან ტფილისს მიდის „ . . . 7 ს. 30 წ. დილ.

ტფილისიდან ხაშურს მიდის 3 ს. დ. ხაშურიდან ტფილისს 8 ს. 10 წ. დილ.

მიმოსვლა ცეცხლის გემებისა შავს ზღვაზედ
ბათუმიდან გადის: ხუთ შაბათობით: დღისით 4 საათზე აკვე გზით, შეივლის ნოვოროსისკის რაობი ვით დამის 2 საათზე, შორის. გზით, შეივლის ფოთსა და ყველა ნავთსაღურში. სამ შაბათობით: დღისით საათზე სოხუმისა და ნოვოროსისსიკით.

ბათუმიდან მოდის: დამის 12 საათზე სწორე გზით ნოვოროსისსიკსა და სოხუმით. ოთხ შაბათობით: დღისით სწორე გზით კერხსა და ნოვოროსისსიკით. პარასკეობით: საღამოთი შორის გზით ყველა ნავთსაღურებში შეივლის.

ფოთში მოდის: საფოსტო და სახალხო ბათუმიდან კვირ, დილით, განთიადისა. პარასკეობით: საფოსტო და სახალხო ოდესიდან დღისით.

სამ შაბათობით: დღისით სახალხო და საქონლისა ოდესიდან. ხუთ შაბათობით: სახალხო და საქონლისა ბათუმიდან, დღისით.

ფოთიდან გადის: პარასკეობით: ნაშუადღევს ორ საათზე საფოსტო და სახალხო ოდესაში და ყველა ნავთსაღურში შეივლის, დღის 5 საათზე.

ხუთ შაბათობით: საფოსტო და სახალხო საქმის გათავების შემდეგ ბათუმიში. სახალხო და საქონლისა ბათუმიში, სამ შაბათობით, დღის 10 საათზე. სახალხო და საქონლისა ხუთ შაბათობით ოდესაში და ყველა ნავთ-საღურში შეივლის.

საქონლისა და სახალხო გემზე II და III კლ. ასის მოგზაურები მიიღებიან უსაგზლოდაც

განსვალბანი კბილის ექიმი ა. ი. მრგაელი

სოლოლაკზედ, საკუთ. სახლებში № 14—16 ავადყოფებს მიიღებს: დილით 8-დან 12 საათამდე. საღამოთი 4-დან 6 საათამდე. კვირა-შაბათ დღეებში დილის 8 საათიდან ნაშუადღევით 2 საათამდე. (150—80)

წერა-კითხვის საზოგადოებისა წიგნის მაღაზიაში ისყიდება შედეგე წიგნება:

- ახალი ვარიანტი წმ. ნინოს ცხოვრებისა 40
- ბუნების კარი ყლით ი. გოგებაშვილისა 90
- გეომეტრია II მ. ყიფიანისა 50
- ვისრამიანი 1 50
- თხზულ. რ. ერისთავისა I 1
- თხზულ. რ. ერისთავისა II 40
- კოკორი, ანუ ანბანი და პირველი საკითხავი წიგნი, სახლობაში სახმარებელი, ი. გოგებაშვილისა კრილოვის არაკები, თარგ. აკაკისა 30
- იგივე მშვენიერის ყლით 80
- მოთხრობანი ვეა-ფშაველასი 30
- შექსპირის ღრამები ს. ყიფიანისა 20
- პატარა მოამბე II აღ. მირიანაშვილისა 10
- რობინზონ კრუზო, თარგ. ან. თუმანიშვილისა. 30
- რუხი მგელი გ. წერეთლისა 15
- ქილილა და დამანა 3
- შაღვას თავგადასავალი ცახელისა 15
- ცვარი შ. მღვიმელისა 30
- წითელი ფარანი, თარგ. ან. დრონიკაშვილისა 15
- ხომლი, ანუ რჩეულთა ლექსთა კრება, ი. გოგებაშვილისა 30
- ხატაური ან. თუმანიშვილისა 10
- კონა ი. გოგებაშვილისა 50
- კუნწულა, ანუ მოთხრობანი მოზრდილ ყრმათათვის ი. გოგებაშვილისა 40
- შინაური საქონელი და იმისი მოვლა-მოშენება ი. როსტომაშვილისა 5

გამოსაღები ცნობანი პირველი კერძო საქონლისა ექიმის ნავასარდიანისა (კუეაში, ვარანცოვის ძეგლის პირდაპირ).

ავადყოფთ იღებენ და სინჯავენ ექიმი ყოველ-ღვე, კვირა დღეებს გარდა. დილაობით იღებენ:

- ბ. ა. ნავასარდიანი, 11—12 საათამდის იმათ, ვისაც სჭირს სნეულებანი: გარეგანი (ხირურგიული), კბილებისა, ვენერიული და ათაშანგი (სიფილისი).
- ე. მ. ჩაქაია, 9—10 1/2 საათამდის, სნეულებანი: თვალის და ნერვებისა—ტანში ტკივილებისა.
- დ. გ. რუდკოვსკაი, 10—11 1/2 საათამდის, სნეულებანი: შინაგანი, ბავშვებისა და დედათა სქესისა.
- ა. ჭ. პრატსკევიჩაი, 11 1/2—12 1/2 საათამდის, სნეულებანი: ყურის, ყელის და ცხვირისა.
- ს. შ. კარაშვიტაინცი, 1—1 1/2 საათამდის, სნეულებანი: შინაგანი და ბავშვებისა.

სადამოაობით მიიღებენ: ა. გ. ჩუშკოვსკაი, 5—6 საათამდის, სნეულებანი: თვალის და გულმკერდისა; ხიშიურად და მიკროსკოპიულად გასინჯავს ნახველს (ხორხს) და შარდს. ს. ა. გადამსკაი, 6—7 საათამდის, სნეულებანი: ათაშანგი (სიფილისი), ხორცის კანის და გარეგანი (ხირურგიული). ბ. ა. ნავასარდიანი, 7—7 1/2 საათამდის. ე. ა. ფრანკოუსკაი, 7 1/2—8 საათამდის, სნეულებანი: ყურის, ყელის, და ცხვირისა, ორ შაბათობით, ოთხ შაბათობით და პარასკეობით. რჩევა-დარიგების და რეცეფტის დაწერის ფასი ათა შურიან; ფასი ექიმთა კრების რჩევისათვის (კონსილიუმისათვის) და ოპერაციებისათვის—მორიგებით. დირექტორი სამკურნალოასა, დოქტორი მედიცინისა ნავასარდიანი.

ტფილისის სათავადაზნაურო სკოლისა.

- 1) მდგომარე წლის ენკენისთვისათვის ტფილისის სათავადაზნაურო სასწავლებელში არის სულ ორმოცდა ერთი (41) ვაკანსია: პირველს განყოფილებაში—31 (7 და 8 წლის ყმაწვილებისათვის), მეორე განყოფილებაში—2 (8 და 9 წლ. ყმაწვილ.), მესამე განყოფილებაში—4 (9 და 10 წლ. ყმაწვილ.) და მეოთხეშია—4 (10 და 11 წლ. ყმაწვილ.). პროგნამაზიულ კლასებში არც ერთში არ არის თავისუფალი ადგილი.
- 2.) 41 ვაკანსიისაგან 37 არის დანიშნული გარედან მოსიარულეებისათვის და ოთხი (4) პანსიონში—ტფილისის გუბერნიის ღარბი თავადაზნაურთა შეილებსათვის. ამ ოთხს ვაკანსიაში სამი (3) არის საზოგადოების სრულს ხარჯზე და ერთი (1) ნახევარს ხარჯზე.
- 3.) ვინც საზოგადოების სრულს ხარჯზე იქნება მიღებული, იმას არავითარი ხარჯი არ მოეთხოვება სწავლა-აღზრდისათვის; ხოლო მათ, რომელნიც მიღებულნი იქმნებიან საზოგადოების ნახევარ ხარჯზე, უნდა შემოიტანონ წელიწადში ათი თუმანი—ნახევარი შემოსვლისათანავე და ნახევარი იანვარში.
- გარედან მოსიარულეს გარდახდება წელიწადში სწავლის ფასი თორმეტი მანათი—ექვსი ენკენისთვეში და ექვსი იანვარში.
- 4.) ვისაც ჰსურს მიღებულ იქნას საზოგადოების სრულს ხარჯზე, იმან უნდა წარმოადგინოს თხოვნასთან ერთად შემდეგი დოკუმენტები: ა) წლოვანობის (ნათლობის) მოწმობა, ბ) სიღარიბის მოწმობა მამრის თავადაზნაურობის წინამძღოლისგან, გ) მოწმობა ტფილისის სადავად-აზნაურო ბანკიდან, რომ იგი ირიცხება სხენებულის ბანკის დამფუძნებელითა შორის, დ) ყვავილის აცრის მოწმობა.
- 5) ვისაც ნახევარს ხარჯზედ ჰსურს შემოსვლა ან გარედ მოსიარულედ, მისთვის საჭიროა იგივე დოკუმენტები, თვინიერ ბანკის მოწმობისა. გარედან მოსიარულეთათვის აუცილებლად საჭიროა წლოვანობის მოწმობა და ყვავილის აცრისა.
- 6) უკეთვე მოთხოვნილთა რიცხვი აღემატა ვაკანსიების რიცხვს, იმ შემთხვევაში მსურველნი მიშვებულ იქმნებიან წილის ყრით. წილისყრამი მონაწილეობას მიიღებენ მხოლოდ ისინი, რომელნიც წარმოადგენენ ყველა საჭირო დოკუმენტებს და ამასთანავე ეკზამენსაც დაიჭერენ წლოვანობის შესაფერ კლასისათვის.
- 7) ვინაიდან პანსიონში შემომსვლელთათვის მკირე ვაკანსიების რიცხვი და მსურველი-კი ბევრია, სკოლის გამგე კომიტეტი იძულებული იქმნება დაითხოვოს ის პანსიონერები, რომლებზედაც წინა წლის ფულია დარჩენილი, იმისთვის-რომ ადგილი დაუცალოს ახლად შემომსვლელებს. ამიტომ სკოლის მთავრობა სთხოვს მშობლებს, რომელთაც სრულად არა აქვს შემოტანილი სწავლა-აღზრდის ფასი, რომ უთუოდ შემოიტანონ პირველი ენკენისთვისათვის, რაც არის მათზე დარჩენილი, თორემ მათი შეილები დათხოვნილ იქმნებიან პანსიონიდან.
- 8) შესაძლებელია მარიამობის თვეში, მოწაფეების ხელმეორე გამოცდის შემდეგ, კიდევ გაიხსნას რამდენიმე ვაკანსია იმათთვის, ვინც სრულს საკუთარს ხარჯზე ისურვებს პანსიონში შემოსვლას ან ნახევარს ხარჯზე. ვინც საკუთარს ხარჯზე შემოვა პანსიონში, იმან უნდა შემოიტანს წელიწადში, ოცი თუმანი—ათი შემოსვლისათანავე და ათი იანვარში.
- 9) თხოვნა უნდა შემოვიდეს მარიამობისთვის 26 რიცხვამდის. ქალაქს გარეშე მცხოვრებთ თხოვნა უნდა გამოგზავნონ შემდეგის ადრესით: Въ Тифлиси. Инспектору Тифлисской Дворянской школы, на Лабораторной ул. въ д. Гургенбекова.
- 10) მარიამობისთვის 26, 27 და 28 რიცხვებს მოხდება მისაღები ეკზამენები და ხელმეორე გამოცდა ზოგიერთ მოწაფეებისა. პირველს ენკენისთვის დაიწყება სწავლა. დათხოვნილნი იქმნებიან ეგრეთვე ის პანსიონერებიც, რომელნიც სკოლში მოსვლისათანავე არ წარმოადგენენ მომავლის 18⁹³/₉₄ სასწავლო წლის ფულის ნახევარს (4—21).